შპს „მარდი"

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	*3*
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	*7*
სრული შემოსავლის ანგარიშგება	*8*
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	*9*
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	*10*
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები	*11*
დასკვნის ბოლო გვერდი	*25*

დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა

შპს "მარდი"-ის მფლობელს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მარდი"-ის (შემდეგში „კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველის" ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია. ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვახერხეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღებში ძირითადი საშუალებების რაოდენობაზე, გარდა მიწისა. 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება. შედეგად ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების მოპოვება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და მდგომარეობაზე. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები ზემოთ მოცემულ თარიღებში შესაბამისად ასახულია 676031 ლარის 703318 ლარისა და 561501 ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ძირითად საშუალებებთან და მასთან დაკავშირებულ ცვეთის ხარჯთან დაკავშირებით.

აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 14 ივლისს, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულში, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მარაგების ინვენტარიზაციას. კომპანიის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მივიღეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება ზემოთ მოცემულ თარიღებში მარაგების რაოდენობაზე, ღირებულებასა და მდგომარეობაზე.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგები ზემოთ მოცემულ თარიღებში შესაბამისად ასახულია 64134 ლარის, 115811 ლარისა და 250301 ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მარაგებთან დაკავშირებით.

აუდიტის წარმართვისას სუბიექტის მიერ ვერ მოხერხდა 2020წლის აღრიცხული თვითღირებულების ხარჯთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულად მოწოდება. სხვა ალტერნატიული პროცედურებით ვერ შევძელით დაგვედგინა, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება კომპანიის მიერ გაანგარიშებულ

4600 საქართველო. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 17ა ს/კ 412682770 t- +99599796006 ელ.ფოსტა: akalso@list.ru
4600 Georgia Kutaisi Str. Ir. Abashidze 17a i/k 412682770 T-+99599796006 E-mail: akalso@list.ru

თვითღირებულების ხარჯთან დაკავშირებით, რომელიც კომპანიას 2020 წელს 1846116 ლარის ღირებულებით აქვს აღრიცხული.

აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 14 ივლისს, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულში ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდით ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას. აღნიშნული მუხლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ალტერნატიული პროცედურები არ მივჩნიეთ საკმარისად სალაროში არსებული ნაშთის დასადასტურებლად, რომელიც დავსწრებოდით 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 524 ლარის, 0 ლარისა და 0 ლარის ღირებულებით.

კომპანიას არ აქვს შემუშავებული საეჭვო და უიმედო მოთხოვნების აღრიცხვის პოლიტიკა, შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის კომპანიას არ განუხორციელებია საეჭვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვის კალკულაცია. აქედან გამომდინარე აღრიცხული მოთხოვნები არ არის ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები" შესაბამისი.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება კომპანიის მიერ აღრიცხულ საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომელიც კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს შესასბამისად 0 ლარის , 0 ლარის ოდენობით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება კომპანიის მიერ 2020 წელში აღრიცხული უცხოური ვალუტის გადასასებიდან მიღბული მოგება/ზარალის დასადასტურებლად. შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირების საჭიროება უცხოური ვალუტის გადასაფარად მიღებულ მოგება/ზარალთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვერნი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში- „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს „ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელია საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას ,რომ არსებითად მცდარია.

ამასთან ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები

4600 საქართველო. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 17ა ს/კ 412682770 t- +99599796006 ელ.ფოსტა: akalso@list.ru
4600 Georgia Kutaisi Str Ir Abashidze 17a i/k 412682770 T-+99599796006 E-mail: akalso@list.ru

შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" კანონით. იმ შემთხვევაში თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვენით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთან პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განსაზღვრული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირი პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად , გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას.თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო

4600 საქართველო. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 17ა ს/კ 412682770 t- +99599796006 ელ.ფოსტა: akalso@list.ru
4600 Georgia Kutaisi Str Ir Abashidze 17a i/k 412682770 T-+99599796006 E-mail: akalso@list.ru

მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა, მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას უარყოფას;

- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებებით შენიშვნების გონივრულობის შეფასება;
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი:
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას,სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია მზევინარი გურაბანიძე.

მზევინარი გურაბანიძე

შპს „აუდიტორული კომპანია ალსო“

15.09.2021წ.

ქუთაისი, საქართველო

4600 საქართველო. ქუთაისი, ირ. აბაშიძის 17ა ს/კ 412682770 t- +99599796006 ელ.ფოსტა: akalso@list.ru
4600 Georgia Kutaisi Str. Ir. Abashidze 17a i/k 412682770 T.+99599796006 E-mail: akalso@list.ru

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	147816	12724	291
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	625050	647738	92334
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		470	463	2264
მარაგები	7	64134	115811	250301
სხვა		64134	115811	250301
ძირითადი საშუალებები	4	676030	703318	561501
სულ აქტივები		1513500	1480054	906691
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	49176	86842	37415
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		6000	86790	55490
საგადასახადო ვალდებულებები		14695	6423	24753
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	17500	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8	236661	369384	313560
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		7813	33491	26685
სულ ვალდებულებები		314345	600430	457903
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	10	80000	80000	80000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1119155	799624	368788
სულ საკუთარი კაპიტალი		1199155	879624	448788
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1513500	1480054	906691
სულ მოკლევადიანი აქტივები		837470	776736	345190
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		77684	231046	144343

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 ივნისი

დირექტორი: ომარ ქათამაძე

შპს „მარდი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	147816	12724	291
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	625050	647738	92334
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		470	463	2264
მარაგები	7	64134	115811	250301
სხვა		64134	115811	250301
ძირითადი საშუალებები	4	676030	703318	561501
სულ აქტივები		1513500	1480054	906691
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	49176	86842	37415
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		6000	86790	55490
საგადასახადო ვალდებულებები		14695	6423	24753
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	17500	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8	236661	369384	313560
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		7813	33491	26685
სულ ვალდებულებები		314345	600430	457903
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	10	80000	80000	80000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1119155	799624	368788
სულ საკუთარი კაპიტალი		1199155	879624	448788
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1513500	1480054	906691
სულ მოკლევადიანი აქტივები		837470	776736	345190
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		77684	231046	144343

შპს „მარდი"

დირექტორი: ომარ ქათამაძე

30.06.2021წ.

სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები		31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	11	2543807	2371075
სხვა	12	2543807	2371075
გაყიდვების თვითღირებულება		-1330542	-1515069
საერთო მოგება		1213265	856006
დასაქმებულთა ანაზღაურება		-444851	-165740
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-70723	-32574
საპროცენტო შემოსავალი		210	0
იჯარის ხარჯი		-19736	-22178
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13	-313411	-226586
სულ საოპერაციო ხარჯები		-848511	-447078
საოპერაციო მოგება		364754	408928
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		12148	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		224	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		73303	37908
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		450429	446836
მოგების გადასახადის ხარჯი		28049	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		478478	446836
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		478478	446836
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		879624	448788
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-158947	-16000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1199155	879624

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 ივნისი

დირექტორი: ომარ ქათამაძე

ფინ. მენეჯერი: ირაკლი ქათამაძე

გვერდებზე 11-26 წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6

შპს „მარდი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები		31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	11	2543807	2371075
სხვა	12	2543807	2371075
გაყიდვების თვითღირებულება		-1330542	-1515069
საერთო მოგება		1213265	856006
დასაქმებულთა ანაზღაურება		-444851	-165740
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-70723	-32574
საპროცენტო შემოსავალი		210	0
იჯარის ხარჯი		-19736	-22178
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13	-313411	-226586
სულ საოპერაციო ხარჯები		-848511	-447078
საოპერაციო მოგება		364754	408928
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		12148	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		224	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		73303	37908
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		450429	446836
მოგების გადასახადის ხარჯი		28049	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		478478	446836
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		478478	446836
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		879624	448788
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-158947	-16000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1199155	879624

შპს „მარდი"

დირექტორი: ომარ ქათამაძე

30.06.2021წ.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
01.01.2018	80000	342767	422767
კაპიტალის ზრდა		26021	26021
პერიოდის შედეგი		26021	26021
31.12.2018	80000	368788	448788
კაპიტალის ზრდა		430836	430836
პერიოდის შედეგი		430836	430836
31.12.2019	80000	799624	879624
კაპიტალის ზრდა		319531	319531
პერიოდის შედეგი		319531	319531
31.12.2020	80000	1119155	1199155

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 ივნისი

დირექტორი: ომარ ქათამაძე

ფინ. მენეჯერი: ირაკლი ქათამაძე

შპს „მარდი”

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
01.01.2018	80000	342767	422767
კაპიტალის ზრდა		26021	26021
პერიოდის შედეგი		26021	26021
31.12.2018	80000	368788	448788
კაპიტალის ზრდა		430836	430836
პერიოდის შედეგი		430836	430836
31.12.2019	80000	799624	879624
კაპიტალის ზრდა		319531	319531
პერიოდის შედეგი		319531	319531
31.12.2020	80000	1119155	1199155

შპს „მარდი”

დირექტორი: ომარ ქათამაძე

30.06.2021წ.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება(ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(პირდაპირი მეთოდი)

	2019 წ.	2020 წ.
ფულადი სახსრების მოძრაობა ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობად:		
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2286342	3032550
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1667453	-1601363
გაცემული შრომის ანაზღაურება	-183685	-520789
გადახდილი გადასახდები (მოგების გადასახადის გარდა)	-251750	-376819
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-9851
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-26664	-45822
ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***156790***	***477906***
ფულადი სახსრების მოძრაობა ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:		
სესხების გაცემა	-	-55000
გაცემული სესხების დაბრუნება	-	55000
მიღებული შემოსავალი ერთობლივი საქმიანობიდან	34110	27377
ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***34110***	***27377***
ფულადი სახსრების მოძრაობა ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:		
მოკლევადიანი სესხების აღება	72000	703574
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	-54500	-721074
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება	94000	-
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	-81707	-144028
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა	-152747	-
გადახდილი პროცენტები	-40313	-44321
გადახდილი დივიდენდები	-15200	-151000
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	-178467	-356849
ვ ა ლ უ ტ ი ს კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	-	-618
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	12433	147525
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წლის დასაწყისისათვის:	291	291
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წლის ბოლოსათვის:	12724	147816

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 ივნისი

დირექტორი: ომარ ქათამაძე

ფინ. მენეჯერი: ირაკლი ქათამაძე

შპს „მარდი”

ფულადი ნაკადების ანგარიშგება(ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(პირდაპირი მეთოდი)

	2019 წ.	2020 წ.
ფულადი სახსრების მოძრაობა ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობად:		
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2286342	3032550
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1667453	-1601363
გაცემული შრომის ანაზღაურება	-183685	-520789
გადახდილი გადასახდები (მოგების გადასახადის გარდა)	-251750	-376819
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-9851
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-26664	-45822
ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	*156790*	*477906*
ფულადი სახსრების მოძრაობა ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:		
სესხების გაცემა	-	-55000
გაცემული სესხების დაბრუნება	-	55000
მიღებული შემოსავალი ერთობლივი საქმიანობიდან	34110	27377
ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	*34110*	*27377*
ფულადი სახსრების მოძრაობა ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:		
მოკლევადიანი სესხების აღება	72000	703574
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	-54500	-721074
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების აღება	94000	-
გრძელვადიანი სასესხო და სხვა ვალდებულებების დაფარვა	-81707	-144028
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა	-152747	-
გადახდილი პროცენტები	-40313	-44321
გადახდილი დივიდენდები	-15200	-151000
ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	-178467	-356849
ვ ა ლ უ ტ ი ს კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	-	-618
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	12433	147525
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წლის დასაწყისისათვის:	291	291
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წლის ბოლოსათვის:	12724	147816

შპს „მარდი”

დირექტორი: ომარ ქათამაძე

30.06.2021წ.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „მარდი" (ს/კ 246953998), დარეგისტრირებულია საქართველოში. იგი დაარსდა 1998 წლის 06 მაისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქობულეთი, სოფ. ხუცუბანი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სარემონტო და საამშენებლო მომსახურების გაწევა.

შპს „მარდი"-ის მესაკუთრე არის ომარ ქათამაძე (პ/ნ61004004014), რომელიც არის კომპანიის 100% წილის მფლობელი.

შპს „მარდი"-ის დირექტორი არის ომარ ქათამაძე (პ/ნ61004004014).

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქიონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა-ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვენება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შედეგი:

	31 დეკ 2020	31 დეკ 2019	31 დეკე 2018
1 USD/GEL	49268	48981	87322
1 EURO/GEL	5573	10418	--

2. მომზადების საფუძვლები და საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების,ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) დანერგვა.

2020წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები, წარმოადგენს კომპანიის მიერ პირველად მომზადებულ ანგარიშგებებს.

შესაბამისად კომპანიამ ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული (მსს ფასს) სტანდარტების მიხედვით, შესადარისად კი წარმოადგინა 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მონაცემები.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი.გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ,მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მიუხედავად კორონა ვირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებისა, კომპანიის საქმიანობა არ შეცერებულა, მენეჯმენტმა მიმოხილვა ეკონომიკაძე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, რის შედეგადაც ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომპანიამ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

ფინანსური ინსტრუმენტები-ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზირებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზებების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოტხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებუია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეალურად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინდორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე ,ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება.შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი,რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით) მრჩევლის ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქარალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს.ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას , ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის,ცდამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა.ცდარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით) ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლე ვადის განმავლობაში განსაზღვრული მომავალი ფულადი ნაკადების მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე.ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვალებადზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელისასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კოტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივებიფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც ბაზარზე არ არის შეფასუბული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ-გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველადი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ტავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველა კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანაქციებზე დაკვირვებით,ან შეფასების მეთოდით,რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მიწოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/ შესყიდვის თარიღით,კერძო თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას

შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარება იმ თარიღით,როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება ; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 10 ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით(დანაკარგის მოვლენები) , რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მიისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა , გამოწვეული გაუფასურების მოგება-ზარალზე მათიმოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითადი კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მერ მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრობების მნიშვნელოვანი გაუფასურების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო,გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ცამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომვალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოტვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავა არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგებაზარალი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადები ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთებ, რომელიც არ შეიძლება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდული

ფულადი ნაშთები, რომელტა გამოყენება არ შეიძლება 3- დან 12 თვემდე ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, ბალანსზე აღიარდება როგორც შეზღუდული ფულადი სახსრების ექვივალენტები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოტხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი , რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარება მეგობა-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღმა შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ.საშუალების თვით ღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების,გაუქვითავი გადასახადები და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყველა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები.თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი,ხდება ძირითადი საშუალებების ჩაოფასება

უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის; გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები.საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდთ, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთი არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვარდები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისთვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარებ	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება,რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს შემოსავლები მინის წარმოებიდან. დეტელური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანია აღიარებს შემოსავალს მიწოდებული საქონლის მიხედვით იმ ანაზღურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარის.საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საოჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო ოჯარიდან შემოსავლის აღიაება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო

აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით,გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხაეჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურეობისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთწლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდებასამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახდი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცაკომპანიების დაბეგვრის არსებულიმოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვი, გარდა გარკვეულიფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოდელის დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას (X/0.85*15%) 15%-იანი მოგების გადასახდით.

მოგების გადასახდის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულიამარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული

მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ანარნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული გავიდა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება, თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწასდებო კაპიტალი

ინვეტიციები საწარმოში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯის აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებსთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება.

ხარჯები სრული შემოსალვის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელიარ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაჯავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს,როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულების მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, გაედა ამისა, ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის შეფასება საგადასახადო ორგანოების შეფასებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს და ამან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოტა მიერ ტრაზაქციების ეჭქვეშ დაყენება, რის გამოც კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები, კომპანია მიიჩნევს, რომ მან გადაიხადა საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება, ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სასამართლო დავები

კომპანია ყოველ საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების

შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან, ბასს 39 მოითხოვს ფინანსურ ისტრუმენტების საწყის არიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით, გადაწყეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შესრულებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყევტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგების ფასდადება დაუკავშირებელ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალეები

	მიწა	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	სხვა ძირითადი სასუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
ბალანსი 31.12.2018	6970	466493	69583	18455	561501
შეძენა		49669	133106	2272	185047
ჩამოწერა			7098	3558	10656
ცვეთა		23519	5621	3434	32574
ბალანსი 31.12.2019	6970	492643	189970	13735	703318
შეძენა		34210	16919	1118	52247
ჩამოწერა			4981	3830	8811
ცვეთა		26465	42054	2205	70724
ბალანსი 31.12.2020	6970	500388	159854	8818	676030

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	**146018**	**12724**	**290**
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	524	0	0
უცხოური ვალუტა რეზიტენტ ბანკში	1274	0	1
სულ ფული და ფულის ექვივალენტი.	147816	12724	291

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	625050	645138	89734
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	0	2600	2600
სულ სავაჭრო და სხვა მოტხოვნები	625050	647738	92334

7. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ნედლეული მასალები	50955	104534	238926
მზა პროდუქცია	11462	9713	9463
დამხმარე მასალები	1717	1564	1912
სულ მარაგები	64134	115811	250301

კომპანიის ნედლეული და მასალები მოიცავს:

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
საქონელი	10017	10945	12955
ნედლეული და მასალები	40938	83626	169805
ობიექტებზე მასალები	--	9963	56166
სულ ნედლეული და მასალები	50955	104534	238926

8. მიღებული სესხები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
იურიდიული პირისგან მიღებული სესხი	--	72000	--
ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხი	703574	94000	--
გადასახდელი პროცენტები	45142,43	41137	46162
სულ მიღებული სესხი	703574	207137	46162

კომპანიის მიღებული სესხების შედგება ბანკისგან და იურიდიული პირებისგან ნასესხები სახსრებისგან. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბანკისგან მიღებული სესხები შეადგენდა 313560ლარს, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 386884ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 236661ლარს. სესხი მიღებულია ლარშიც და დოლარშიც.

გარდა ბანკებისა, შპს „მარდ"-ს მიღებული აქვს სესხი იურიდიული პირებისგან, რომლის ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 17500 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 0 ლარს.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები უცხოელი მომწოდებლის მიმართ	--	---	--
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	64134	115811	150301
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	64134	115811	150301

კომპანიის უცხოელი მომწოდებლები არის თერქული კომპანიები, რომლებთანაც აქვს ერთჯერადი მომსახურებები.

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 80000 ლარს. 2019 წლისა და 2020 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა. შესაბამისად 2019წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2020 წლის 331 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენდა კვლავ 80000 ლარს,

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	**80000**	**80000**	**80000**

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	2543807	2371075
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	2543807	2371075

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მომხმარებლებისთვის წარმოადგენს სხვადასხვა სარემონტო საამშენებლო მომსახურების მიწოდება. გარდა ამისა, კომპანია შემოსავალს აგენერირებს იჯარიდან. თუმცა მთავარი შემოსავლის წყაროს სარემონტო საამშენებლო მომსახურების მიწოდება.

	2020	2019
რეალიზაცია	2512536	2339719
საიჯარო შემოსავალი	31271	31356
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	2543807	2371075

12. თვითღირებულება

	2020	2019
მასალები	993061	581008
ტრანსპორტირება	61065	12711
ქვეკონტრაქტორის მომსახურება	201564	818381
საწვავის ხარჯი	72242	54575
სხვა ხარჯები	2610	48394
სულ თვითღირებულება	1330542	1515069

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
კომუნალური ხარჯი	8893	6833
იჯარის ხარჯი	19736	22178
სამეურნეო ხარჯი	1282	802
საგადასახადო ხარჯი	3566	4879
ბანკის მომსახურების ხარჯი	2070	2290
წარმომადგენლობითი ხარჯი	32853	31184
შრომის ანაზღაურება ადმინიტრაცია	135970	94476
რემონტის ხარჯი	27813	34507
სხვა ხარჯი	81228	29437
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	313411	226586

14. ფინანსური შემოსავალი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი 2020წელს შეადგენდა 73303 ლარს, ხოლო 2019 წელს 37908 ლარს. ფინანსური შემოსავალი კომპანიას მიღებული აქვს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს მიღებულ სესხზე დარიცხული წლიური სარგებლის თანადაფინანსებას.

15. მოგების გადასახადი

2017 ფინანსური წლის დასაწყისიდან მოხდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადს და რომლის მიხედვითაც კომპანია ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მხოლოდ დივიდენდის გაცემის მომენტში (რამდენიმე გამონაკლისით), ფასს და საგადასახადო მიზნებით მიღებული მოგება სესაბამისად ამ ცვლილებების შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება და გადავადებული გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს კომპანია მომავალში ვეღარ გამოიყენებს.

16. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახდო კანონმდებლობა

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასაახდი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაცი და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ-მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით, რომ მოხდეს შოდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში
ა)უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში
ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში
გ)ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში.
ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ, მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოირ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად,ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტებში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიას აქ ყოველდღიური მოთხოვრები მის ფულად რსეურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისი და ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობით ლიკვიდურობის პორტფელს ფარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრებ იმ თანხის რაოდენობით, რა თანახმადაც შესაძლებელია ფინანსური ინსრტუმენტის გაცვლა/ რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშწორებისას თანაბარი ინფორმააცის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ" წარმოადგენს:

-მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
-პარტნიორი საწარმო- საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
-ერთობლივი საწარმო სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
-კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
-ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ) -ში;
-მხარე,რომელიც კონტროლდება,ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე) ში ნახსენები ინდივიდუუმებს.
-დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

20. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგებაში მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 ივნისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსრებულა.

კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა კოვიდ-19-ის მიუხედავად. მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

შპს „მარდი"

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

კომპანიის შესახებ ----------3

მმართველობა და სტრუქტურა----------3

საქმიანობის მიმოხილვა----------4

განვითარების გეგმები----------5

ფინანსური რისკები ----------6

კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „მარდი" (ს/კ 246953998), დარეგისტრირებულია საქართველოში. იგი დაარსდა 1998 წლის 06 მაისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქობულეთი, სოფ. ხუცუბანი.

კომპანიის შემოსავალი ძირითადად ხდება ორ ძირითად სფეროში სხვადასხვა სარემონტო, საამშენებლო საქმიანობა და ქონების იჯარით გაცემით.

შპს „მარდი"-ის დირექტორი არის ომარ ქათამაძე (პ/ნ61004004014)

მმართველობა და სტრუქტურა



საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სარემონტო და საამშენებლო მომსახურების გაწევა.

შპს „მარდი"-ის მესაკუთრე არის ომარ ქათამაძე (პ/ნ61004004014), რომელიც არის კომპანიის 100% წილის მფლობელი.

შპს „მარდი"-ის ძირითად საქმიანობებს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებში განხორციელებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობით.

ფინანსური მაჩვენებლები

2020 წელს კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი შეადგენდა 2543807ლარს, ხოლო 2019წელს-2371075ლარს.

2020 და 2019წლებში კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე:



კომპანიის საერთო მოგება 2020 წელს იყო 430836 ლარი ხოლო 2019 წელს 319531 ლარი 2019 წელთან შედარებით 2020 წელს საერთო მოგება გაიზარდა 26% ით.



განვითარების გეგმები

შპს „მარდი" - ის გამოცდილება და ტექნიკური მხარის სიძლიერე შესაძლებლობას გვაძლევს, შევქმნათ პრემიუმ ხარისხის მომსახურება, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამისი დამკვეთის ნებისმიერი სახის მოთხოვნას. ჩვენ მუდმივად ვუჭერთ მხარს ინოვაციას და ტექნიკურ ზრდას.

კომპანიის უახლეს შენაძენს წარმოადგენს ექსკავატორი JSB 3CX, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ხარისხიანი მომსახურების მიწოდებას ბაზარზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს „მარდი" მომსახურებას ახორციელებს საქართველოს ბაზარზე. შესაბამისად, საქართველოს ბაზრის სტაბილურობა წარმოადგენს კომპანიის განვითარების მიზნების მიღწევის წინაპირობას.

საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანგარიშგების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

საოპერაციის რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშეც, კომოანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რიცხვები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი, დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარველობის შემთხვევაში, კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანია საკრედიტო რესურსს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას, კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო სარისხების ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში, ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალიური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად, კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების და ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგან გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები, თუმცა ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული რისკი არ არის არსებითი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 30 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

შპს „მარდი" -ს

დირექტორი:

ომარ ქათამაძე ----------